GÜRTİAD

EKONOMİ BÜLTENİ

ეკონომიკური გამოცემა

01 Temmuz/ივლისი 2026

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 941.1	10 296.5	7.5%	13.9 %	5.7 %

Tarım Eş Finansman Devlet Programı

აგროთანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა

1 Temmuz itibarıyla tarım sektöründeki devlet destek programlarında değişikliğe gidileceği bildirildi. Gürcistan Çevre Koruma ve Tarım Bakanlığı, “Tarım Eş Finansman Devlet Programı”nın yeni modelini uygulamaya koydu. Yeni modele göre projelerin değerlendirilmesi sürecinde öncelik bankalar yerine Bakanlığa verilecek; böylece finans kuruluşlarının uyguladığı değerlendirme ve eleme mekanizmasının yerini devlet bürokrasisi alacak.

Düzenlemeye göre ,,Tarım Eş Finansman Devlet Programı”na katılmak isteyen potansiyel yararlanıcılar ve çiftçilerin, Kırsal Kalkınma Ajansı nezdinde dört aşamalı bir süreci tamamlaması gerekecek. Bu süreç kapsamında; çiftlik kayıt sistemine kayıt olunması, elektronik başvurunun doldurulması, iş planının sunulması ve ilgili belgelerin sisteme yüklenmesi zorunlu olacak.

Söz konusu değişiklik, mevcut ,,Sübvansiyonlu Tarım Kredisi Programı” kapsamındaki uygulamadan farklı bir yapıya geçiş anlamına geliyor. Hâlihazırda sübvansiyonlu tarım kredileri, programa dahil bankalar ve finans kuruluşları aracılığıyla sağlanırken, Kırsal Kalkınma Ajansı kredi başvurularının değerlendirilmesi ve kredi tahsis süreçlerinde doğrudan yer almıyor.

1 Temmuz'dan itibaren yürürlüğe girecek yeni ,,Tarım Eş Finansman Devlet Programı" modelinde ise başvuruların değerlendirilmesi sürecinde banka veya finans kuruluşlarının rolü bulunmayacak. Başvuru sahipleri, belirlenen dört aşamalı prosedür kapsamında süreci doğrudan ilgili devlet kurumları üzerinden yürütecek.

Çevre Koruma ve Tarım Bakanlığı yetkilileri, devlet eş finansmanına ilişkin yeni programın hazırlık çalışmalarının tamamlandığını açıkladı.

1-ელი ივლისიდან, სოფლის მეურნეობის სექტორში სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები იცვლება. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ,,აგროთანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის" ახალ მოდელს ნერგავს, რომლის მიხედვით, პროექტებს ბანკების ნაცვლად ჯერ სამინისტროში შეაფასებენ, ანუ საფინანსო ინსტიტუტის ფილტრს სახელმწიფო ბიუროკრატია ჩაანაცვლებს.

კერძოდ, „აგროთანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამაში" მონაწილეობისთვის პოტენციურ ბენეფიციარებს/ფერმერებს სოფლის განვითარების სააგენტოში 4 ეტაპის გავლა მოუწევთ:

1. ფერმერული მეურნეობების რეესტრში რეგისტრაცია;

2. განაცხადის ელექტრონული ფორმით შევსება;

3. „ბიზნესგეგმის" წარდგენა;

4. შესაბამისი დოკუმენტაციის ატვირთვა.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ მაგალითად, თუ ამჟამად, „შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის" ფარგლებში, შეღავათიან აგროკრედიტს გასცემენ პროექტში ჩართული ბანკები და საფინანსო ორგანიზაციები და სოფლის განვითარების სააგენტო არ მონაწილეობს საკრედიტო განაცხადის დამუშავების და კრედიტის გაცემის პროცესში, 1-ელი ივლისიდან, განახლებული „აგროთანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის" თანახმად, სავალდებულო 4-ეტაპიან პროცესში ბანკი/საფინანსო ინსტიტუტი საერთოდ არ ჩანს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, რომ სახელმწიფო თანადაფინანსების ახალი პროგრამის შემუშავება დასრულდა.

ARKAS GEORGIA LLC · TURKISH AIRLINES · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless

Gürcistan Ekonomik Kalkınma Kurumu

საქართველოს ეკონომიკის განვითარების კორპორაცია

Gürcistan Ekonomi Bakanlığı'na bağlı eski kamu tüzel kişiliği ,,Enterprise Georgia"nın yeniden yapılandırılması ve eski ,,Gürcistan Kalkınma Fonu" temelinde "Gürcistan Ekonomik Kalkınma Kurumu" anonim şirketi kurulmuştur.

Kurumun başkanlığına, daha önce ,,Enterprise Georgia" kamu tüzel kişiliğinde başkan yardımcısı olarak görev yapan Irakli Gabriadze atanmıştır.

Yeni kurulan Kurum, esas olarak ,,Enterprise Georgia" tarafından yürütülen mevcut programları devralacaktır. Söz konusu programlar ağırlıklı olarak, işletmelere sağlanan banka kredilerinin faiz giderlerinin ortak finansmanı (faiz sübvansiyonu) şeklindeki destek mekanizmalarından oluşmaktadır.

Bunun yanı sıra Kurumun, geçmişte ,,Gürcistan Kalkınma Fonu" tarafından yürütülen doğrudan kredi finansmanı faaliyetlerini de sürdürmesi beklenmektedir. Ancak bu yöndeki planlara ilişkin Kurum tarafından henüz kapsamlı bir açıklama yapılmamıştır.

Kurumun ayrıca enerji sektörü, altyapı projelerinin geliştirilmesi ve çeşitli ekonomik sektörlerin desteklenmesi gibi önemli stratejik alanlarda faaliyet göstermesi öngörülmektedir. Bu kapsamda, söz konusu destek mekanizmalarının yeni finansal araçlar, yeni yatırım projeleri ve genişletilmiş bir yetki alanı çerçevesinde uygulanması planlanmaktadır.

Kurum tarafından yapılan açıklamalara göre, önümüzdeki 10 yıl içerisinde Gürcistan ekonomisine 40 milyar lariden fazla yatırımın desteklenmesi hedeflenmektedir.

ეკონომიკის სამინისტროს ყოფილი სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში"-ს რეორგანიზაციის და ყოფილი „საქართველოს განვითარების ფონდის" საფუძველზე, დაფუძნდა სს ,,საქართველოს ეკონომიკის განვითარების კორპორაცია".

ARKAS GEORGIA LLC TURKISH AIRLINES EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless

კორპორაციის ხელმძღვანელად დაინიშნა ირაკლი გაბრიაძე, რომელიც წარსულში სსიპ ,,აწარმოე საქართველოში”-ს უფროსის მოადგილის თანამდებობას იკავებდა.

ახალი კორპორაცია, ძირითადად, გადაიბარებს იმ პროგრამებს, რომლებიც ,,აწარმოე საქართველოში”-ს ჰქონდა და უმეტესწილად, ბიზნესის საბანკო სესხების პროცენტის თანადაფინანსებაში გამოიხატებოდა. გარდა ამისა, კორპორაციამ, შესაძლოა, გააგრძელოს პირდაპირი სასესხო დაფინანსების გაცემაც, რასაც წარსულში ,,საქართველოს განვითარების ფონდი” ახორციელებდა, თუმცა, ამ მიმართულებით კორპორაციის გეგმების შესახებ, ჯერჯერობით, თითქმის არაფერია ცნობილი.

კორპორაცია მონაწილეობას მიიღებს ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებების განვითარებაში, მათ შორის, ენერგეტიკა, ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება და მთელი რიგი დარგების მხარდაჭერა ახალი ინსტრუმენტებით, ახალი ფინანსური პროექტებითა და ახალი მანდატით.

უწყების განმარტებით, მომდევნო 10 წლის განმავლობაში, მხარს დაუჭერენ 40 მლრდ ლარზე მეტ ინვესტიციას ქართულ ეკონომიკაში.

Parlamento, Aşırı Hız Cezalarının Azaltılmasını Öngören Tasarıya İlk Okumada Destek Verdi

პარლამენტმა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შესატან ცვლილებებს პირველი მოსმენით დაუჭირა მხარი

Gürcistan Parlamentosu, ,,Gürcistan İdari Suçlar Kanunu"nda yapılması öngörülen ve hız sınırının aşılması halinde uygulanan para cezalarının azaltılmasını içeren değişikliklere ilk okumada destek verdi.

Tasarıya göre, sürücünün belirlenen hız sınırını 15 km/s'ten fazla, ancak 30 km/s'i aşmayacak şekilde ihlal etmesi halinde uygulanacak para cezası 100 GEL yerine 50 GEL olacak.

ARKAS GEORGIA LLC TURKISH AIRLINES EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless

Bunun yanı sıra, hız sınırının 30 km/s ile 50 km/s arasında aşılması durumunda uygulanacak para cezası 300 GEL yerine 100 GEL olarak belirlendi. Hız sınırının 50 km/s'in üzerinde aşılması halinde ise 300 GEL para cezası uygulanacak.

Milletvekillerinin açıklamasına göre, değişiklikler sürücü belgeleri için uygulanan puan sistemini de kapsıyor. Buna göre, hız sınırının 15 km/s'ten fazla, ancak 30 km/s'i aşmayacak şekilde ihlal edilmesi halinde (cezanın trafik polisi ekibi tarafından düzenlenmesi durumunda), sürücü belgesindeki 100 puanlık sistemden 10 puan düşürülecek.

Ayrıca, hız sınırının 30 km/s ile 50 km/s arasında aşılması halinde sürücü belgesinden 20 puan yerine 10 puan düşürülecek. Hız sınırının 50 km/s'in üzerinde aşılması durumunda ise 20 puanlık kesinti uygulanacak.

Söz konusu yasa tasarısı parlamentoda hızlandırılmış usulle görüşülüyor.

პარლამენტმა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შესატან ცვლილებებს პირველი მოსმენით დაუჭირა მხარი. კანონპროექტი ითვალისწინებს სიჩქარის გადაჭარბებისთვის დაწესებული სანქციების შემცირებას, სადისტრიბუციო ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის გარკვეულ საათებში BUS LANE-ით სარგებლობის უფლებას, ასევე, მწვანე ნარგავების დაზიანებისთვის დაწესებული სანქციების გადახედვას.

კანონპროექტის მიხედვით, 01:00 საათიდან 06:00 საათამდე სადისტრიბუციო ავტოსატრანსპორტო საშუალებებს BUS LANE-ში გადაადგილების უფლება ექნებათ. აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმართ დადგენილ მოთხოვნებსა და პირობებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება განსაზღვრავს.

უწყების განმარტებით, ინიციატივა ხელს შეუწყობს სადისტრიბუციო კომპანიებს ღამის საათებში კონკრეტული საქონლის სავაჭრო ობიექტებში დროულად მიწოდებაში. შედეგად, შემცირდება ქალაქში სატრანსპორტო ნაკადების დატვირთვა, სადისტრიბუციო ავტომობილები უფრო დიდი მოცულობით შეძლებენ მუშაობას, შემცირდება სადისტრიბუციო ხარჯები, რაც, თავის მხრივ, სავარაუდოდ, დადებითად აისახება, მათ შორის, სურსათის ფასებზეც.

კანონპროექტის ფარგლებში, იცვლება სიჩქარის გადაჭარბებისთვის დაწესებული ჯარიმებიც. კერძოდ, მოძრაობის დადგენილი სიჩქარის 15 კმ/სთ-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 30 კმ/სთ-ით გადაჭარბებისთვის ჯარიმა 100 ლარის ნაცვლად 50 ლარს შეადგენს.

ARKAS GEORGIA LLC TURKISH AIRLINES EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless

30 კმ/სთ-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 50 კმ/სთ-ით სიჩქარის გადაჭარბებისთვის ჯარიმა 300 ლარის ნაცვლად 100 ლარი იქნება, ხოლო 50 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარის გადაჭარბებისთვის 300-ლარიანი ჯარიმა შენარჩუნდება.

კანონმდებლების განმარტებით, ცვლილებები შეეხება სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობისთვის მინიჭებულ ქულათა სისტემასაც. კერძოდ, 15 კმ/სთ-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 30 კმ/სთ-ით სიჩქარის გადაჭარბების შემთხვევაში (თუ ჯარიმა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა გამოწერა), მართვის მოწმობის 100-ქულიანი სისტემიდან 10 ქულა ჩამოიჭრება.

ასევე, 30 კმ/სთ-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 50 კმ/სთ-ით სიჩქარის გადაჭარბების შემთხვევაში 20-ის ნაცვლად 10 ქულა ჩამოიჭრება, ხოლო 50 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარის გადაჭარბებისთვის 20-ქულიანი სანქცია შენარჩუნდება.

კანონპროექტი, ასევე, ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მწვანე ნარგავების დაზიანებისა და/ან მათი თვითნებური განადგურებისთვის დაწესებული სანქციების შემცირებას.

კერძოდ, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში აღნიშნული ქმედება 2 000 ლარის ნაცვლად 500-ლარიან ჯარიმას გამოიწვევს, ხოლო განმეორებით ჩადენის შემთხვევაში 5 000 ლარის ნაცვლად 1 000-ლარიან ჯარიმას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში იგივე სამართალდარღვევისთვის გათვალისწინებული ჯარიმა 5 000 ლარის ნაცვლად 500 ლარი იქნება, ხოლო განმეორებით ჩადენის შემთხვევაში — 10 000 ლარის ნაცვლად 1 000 ლარი.

კანონპროექტი პარლამენტში დაჩქარებული წესით განიხილება.

ARKAS GEORGIA LLC TURKISH AIRLINES EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless

Bankacılık Sektörü 5 Ayda 1,544 Milyar GEL Net Kâr Elde Etti

საბანკო სექტორში 1.544 მლრდ ლარის მოგება 5 თვეში

Gürcistan Ulusal Bankası tarafından yayımlanan finansal verilere göre, 2026 yılının Ocak-Mayıs döneminde ticari bankalar ve mikrobankalar toplam 1,544 milyar GEL net kâr elde etti.

Ulusal Banka istatistiklerine göre bu rakam, geçen yılın aynı dönemine kıyasla 272 milyon GEL, yani yaklaşık %21,3 oranında artışa işaret ediyor. Buna göre, 2025 yılının Ocak-Mayıs döneminde bankacılık sektörünün net kârı 1,272 milyar GEL olarak gerçekleşmişti.

Banka bazında değerlendirildiğinde, 2026 yılının ilk beş ayında en yüksek kârı bir kez daha Bank of Georgia (Gürcistan Bankası) elde ederken, en yüksek zararı ise VTB Bank Georgia açıkladı.

Bankacılık Sektörünün Toplam Kârının Yaklaşık %90'ı İki Bankaya Ait

Ulusal Banka'nın internet sitesinde yayımlanan verilere göre, 2026 yılının Ocak-Mayıs döneminde banka ve mikrobankaların kâr dağılımı şu şekilde gerçekleşti:

- Bank of Georgia – 818,678 milyon GEL
- TBC Bank – 562,359 milyon GEL
- Basisbank – 61,785 milyon GEL
- Liberty Bank – 41,711 milyon GEL
- Credo Bank – 28,835 milyon GEL
- ProCredit Bank – 15,242 milyon GEL
- Terabank – 12,525 milyon GEL
- Cartu Bank – 12,186 milyon GEL
- Halyk Bank Georgia – 9,875 milyon GEL
- Mikrobank Crystal – 7,071 milyon GEL
- İşBank Georgia – 6,239 milyon GEL
- Pave Bank – 4,542 milyon GEL
- Pasha Bank Georgia – 2,907 milyon GEL
- Ziraat Bank Georgia – 2,543 milyon GEL

ARKAS GEORGIA LLC TURKISH AIRLINES EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless

- Mikrobank MBC – 1,613 milyon GEL

Zarar Açıklayan Bankalar

2026 yılının ilk beş ayında zarar açıklayan bankalar ise şu şekilde sıralandı:

- VTB Bank Georgia – 26,074 milyon GEL zarar
- Silk Bank – 11,320 milyon GEL zarar
- Hash Bank – 4,880 milyon GEL zarar
- Paysera Bank Georgia – 956 bin GEL zarar

Söz konusu raporlama döneminde Gürcistan bankacılık sektöründe 17 ticari banka ve 2 mikrobank faaliyet göstermekteydi.

2026 წლის იანვარ-მაისის თვეებში, კომერციულმა ბანკებმა (მიკრობანკებმა) 1.544 მლრდ ლარის წმინდა მოგება მიიღეს. ამის შესახებ ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ფინანსური მაჩვენებლები იუწყება.

სებ-ის სტატისტიკით, ეს 272 მლნ ლარით, დაახლოებით, 21.3%-ით გაზრდილი მაჩვენებელია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. კერძოდ, მონაცემების მიხედვით, 2025 წლის იანვარ-მაისში ბანკების მოგება 1.272 მლრდ ლარი იყო.

რაც შეეხება ცალკეულ ბანკებს, 2026 წლის 5 თვეში ყველაზე მეტი მოგება კვლავ „საქართველოს ბანკმა" მიიღო, ყველაზე ზარალიანი კი „ვითიბი ბანკი" აღმოჩნდა.

ბანკების მთლიანი მოგების თითქმის 90% მხოლოდ 2 ბანკზე მოდის

უფრო კონკრეტულად, ეროვნული ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, 2026 წლის იანვარ-მაისში ბანკების/მიკრობანკების მოგება ასე გადანაწილდა:

- „საქართველოს ბანკი" – 818.678 მლნ ლარი;
- „თიბისი ბანკი" – 562.359 მლნ ლარი;
- „ბაზისბანკი" – 61.785 მლნ ლარი;
- ლიბერთი ბანკი" – 41.711 მლნ ლარი;
- „კრედო ბანკი" – 28.835 მლნ ლარი;

ARKAS GEORGIA LLC TURKISH AIRLINES EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless

- „პროკრედიტ ბანკი“ – 15.242 მლნ ლარი;
- „ტერა ბანკი“ – 12.525 მლნ ლარი;
- „ქართუ ბანკი“ – 12.186 მლნ ლარი;
- „ხალიკ ბანკი“ – 9.875 მლნ ლარი;
- მიკრობანკი „კრისტალი“ – 7.071 მლნ ლარი;
- „იშ ბანკ“ – 6.239 მლნ ლარი;
- „პეივ ბანკი“ – 4.542 მლნ ლარი;
- „პაშა ბანკი საქართველო“ – 2.907 მლნ ლარი;
- „ზირაათ ბანკი საქართველო“ – 2.543 მლნ ლარი;
- მიკრობანკი „ემ-ბი-სი“ – 1.613 მლნ ლარი.

რაც შეეხება 2026 წლის 5 თვეში ზარალიან ბანკებს, მონაცემები ასე გამოიყურება:

- „ვითიბი ბანკი“ – 26.074 მლნ ლარი;
- „სილქ ბანკი“ – 11.320 მლნ ლარი;
- „ჰეშ ბანკი“ – 4.880 მლნ ლარი;
- „პეისერა ბანკი საქართველო“ – 956 ათასი ლარი.

ცნობისათვის, საანგარიშო პერიოდში, ბაზარზე 17 კომერციული ბანკი და 2 მიკრობანკი ოპერირებდა.

ARKAS GEORGIA LLC TURKISH AIRLINES EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless Specific waste management

Haziran Ayı Haberleri:

Bakü-Tiflis-Kars Demiryolu Hattı'nın Tam Kapasiteyle Faaliyete Geçiş Töreni Düzenlendi

2 Haziran 2026 tarihinde Ahılkelek'te, Bakü-Tiflis-Kars Demiryolu Hattı'nın tam kapasiteyle faaliyete geçmesi dolayısıyla tören düzenlendi.

Törene, Türkiye Cumhuriyeti Ulaştırma ve Altyapı Bakanı Abdulkadir Uraloğlu katıldı. Karayoluyla Gürcistan'a gelen Bakan Uraloğlu, Aktaş Sınır Kapısı'nda Türkiye Cumhuriyeti'nin Tiflis Büyükelçisi Mustafa Türker Arı tarafından karşılandı.

ახალქალაქში ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის სრულ ექსპლუატაციაში გაშვების ცერემონია გაიმართა

2026 წლის 2 ივნისს, ახალქალაქში, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის სრულ ექსპლუატაციაში გაშვების ცერემონია გაიმართა.

ცერემონიას, თურქეთის რესპუბლიკის ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, აბდულქადირ ურალოღლუ დაესწრო. მინისტრს, რომელიც საქართველოში საავტომობილო გზით ჩამობრძანდა, აქთაშის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში მუსტაფა თურქერ არი შეეგება.

✈ **Tiflis ile Batum Arasında Düzenli Hava Ulaşımı Yeniden Başladı**

25 Haziran itibarıyla Tiflis ve Batum Uluslararası Havalimanları arasındaki düzenli hava ulaşımı yeniden başladı.

Söz konusu hatta uçuşlar, Georgian Airways tarafından haftada dört gün gerçekleştiriliyor.

Yaz tarifesi boyunca seferler her Salı, Perşembe, Cumartesi ve Pazar günleri Boeing 737 tipi uçaklarla icra ediliyor.

Uçuş programına göre, Tiflis Uluslararası Havalimanı'ndan kalkış saati 09.00, Batum Uluslararası Havalimanı'ndan kalkış saati ise 19.30 olarak uygulanıyor.

Tiflis ile Batum arasındaki uçuş süresi yaklaşık 45 dakika olup, tek yön bilet fiyatları 132 avrodan başlıyor.

✈ **თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებს შორის რეგულარული ავიამიმოსვლა განახლდა**

25 ივნისიდან, თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებს შორის რეგულარული ავიამიმოსვლა განახლდა.

აღნიშნული მიმართულებით ფრენებს ,,Georgian Airways“ კვირაში ოთხჯერ ასრულებს.

ზაფხულის სანავიგაციო სეზონის განმავლობაში, რეისები ყოველ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათსა და კვირას ,,Boeing 737“ ტიპის საჰაერო ხომალდით სრულდება.

ფრენების განრიგის მიხედვით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან რეისი 09:00 საათზე, ხოლო ბათუმის საერთაშორისო აეროპორტიდან 19:30 საათზე სრულდება.

თბილისსა და ბათუმს შორის ფრენის ხანგრძლივობა დაახლოებით 45 წუთია, ხოლო ერთი მიმართულებით ბილეთის ფასი 132 ევროდან იწყება.

ARKAS GEORGIA LLC · TURKISH AIRLINES · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless

GÜRTİAD Aktiviteleri/ გურთიადის აქტივობები

GÜRTİAD olarak, 4-5 Haziran tarihlerinde düzenlenen Tiflis Sürdürülebilir Kalkınma XVI. Bölgesel Forumuna katılım sağladık.

Derneğimizi temsilen Yönetim Kurulu Başkanımız Sn. Oktay Öztürk ve Yönetim Kurulu Üyemiz Sn. Oğuz Yıldırım forumda yer aldı.

Bu yıl düzenlenen foruma Gürcistan Cumhurbaşkanı, Başbakanı, Parlamento Başkanı ve Tiflis Belediye Başkanı'nın yanı sıra çok sayıda Gürcü ve yabancı üst düzey devlet yetkilisi, diplomat, uluslararası kuruluş temsilcisi, akademisyen ve iş dünyası temsilcisi katılım sağlamıştır.

Forum kapsamında sürdürülebilir kalkınma hedefleri, bölgesel ekonomik iş birliği, yatırım ortamı, teknolojik dönüşüm, çevresel sürdürülebilirlik ve geleceğe yönelik kalkınma politikaları ele alınmış; katılımcılar arasında görüş ve tecrübe paylaşımında bulunulmuştur.

2007 yılında Yerel Ekonomik Kalkınma girişimi olarak kurulan Tiflis Bölgesel Forumu, ekonomik, sosyal, çevresel, teknolojik ve jeopolitik süreçlerin ele alındığı önemli bir uluslararası platform niteliği taşımaktadır. Yıllar içerisinde bölgenin önde gelen düşünce ve istişare platformlarından biri haline gelen forum; kamu, özel sektör, uluslararası kuruluşlar, akademi ve sivil toplum temsilcilerini bir araya getirerek güncel küresel ve bölgesel gelişmelerin değerlendirilmesine katkı sağlamaktadır.

4-5 ივნისს, გურთიადის სახელით, ასოციაციის თავმჯდომარემ, ოქტაი ოზთურქმა და მმართველი საბჭოს წევრმა, ოღუზ ილდირიმმა მონაწილეობა მიიღეს თბილისის მდგრადი განვითარების მე-16 რეგიონულ ფორუმში.

ფორუმს ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, ქ. თბილისის მერი, აგრეთვე, ქართველი და უცხოელი მაღალი დონის პირები, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების, ბიზნეს სექტორისა და სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლები.

ფორუმის ფარგლებში, განხილულ იქნა მდგრადი განვითარების მიზნები, რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობა, საინვესტიციო გარემო, ტექნოლოგიური

განვითარებისა და ეკოლოგიური მდგრადობის საკითხები და სამომავლო განვითარების პოლიტიკა. მონაწილეებს, მიეცათ შესაძლებლობა ემსჯელათ აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით და გაეზიარებინათ მნიშვნელოვანი გამოცდილება.

თბილისის რეგიონული ფორუმი, 2007 წელს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების (LED) ინიციატივის სახით დაფუძნდა. ფორუმი, წარმოადგენს სივრცეს, სადაც განიხილება ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი, ტექნოლოგიური და გეოპოლიტიკური პროცესები. ფორუმი, რომელიც წლების მანძილზე ჩამოყალიბდა, როგორც რეგიონში მოწინავე იდეების გაზიარებისა და კონსულტაციის მიღების პლატფორმა, აერთიანებს საჯარო და კერძო სექტორს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, სამეცნიერო და არასამთავრობო სფეროების წარმომადგენლებს და წვლილი შეაქვს აქტუალური გლობალური და რეგიონული მოვლენების შეფასებაში.

GÜRTİAD Yönetim Kurulu olarak üye şirketimiz Sera Ltd.'yi ziyaret ettik. 2008 yılında Gürcistan'da kurulan Sera Ltd., çikolata, şekerleme, pastacılık ekipmanları ve hammadde dağıtımı alanında ülkenin önde gelen şirketleri arasında yer almaktadır. Şirketin mevcut ortaklık yapısı Tür k sermayesi ağırlıklıdır.

Sera Ltd., Türkiye'nin önde gelen üreticileri arasında yer alan Elit başta olmak üzere Cargill, Turyağ, Altınmarka ve Gusto dahil 17 farklı üreticinin Gürcistan'daki resmi dağıtımını gerçekleştirmektedir.

Şirket; Ipqli, Family Retail, Food Alliance, Agrohub ve benzeri güçlü perakende ve kurumsal iş ortaklarına hizmet sunmaktadır.

Tiflis ve Kutaisi'de toplam 1.500 m²'yi aşan depolama alanlarında ürünler, kuru ve sıcaklık kontrollü koşullarda muhafaza edilmekte; dağıtım operasyonları şirketin kendi araç filosu ile yürütülmektedir.

Şirket Müdürü Sayın Salih Cem Sezginsoy, görüşmede şirketin vizyonunu paylaşarak, kalite odaklı ve sürdürülebilir hizmet anlayışının en temel öncelikleri olduğunu vurguladı.

GÜRTİAD olarak nazik ev sahiplikleri ve değerli paylaşımları için kendilerine teşekkür eder, Sera Ltd. ekibine çalışmalarında ba

şarılar dileriz.

GÜRTİAD-ის წევრ კომპანიებში ტრადიციული ვიზიტების ფარგლებში, ასოციაციის მმართველი საბჭო კომპანია ,,Sera Ltd“-ს ესტუმრა.

შეხვედრისას, აღმასრულებელმა დირექტორმა, სალიჰ ჯემ სეზგინსოიმ, წარმოადგინა კომპანიის განვითარების ხედვა და აღნიშნა, რომ მაღალი ხარისხის ნიშნულისა და სანდოობის შენარჩუნება მათი საქმიანობის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ 2008 წელს, საქართველოში დაფუძნებული ,,Sera Ltd“ წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან კომპანიას შოკოლადის, საკონდიტრო ნაწარმის, საკონდიტრო დანიშნულების აღჭურვილობისა და შესაბამისი ნედლეულის დისტრიბუციის მიმართულებით. კომპანიის პარტნიორულ სტრუქტურაში მნიშვნელოვან წილს თურქული კაპიტალი იკავებს.

,,Sera Ltd“ საქართველოში 17 სხვადასხვა მწარმოებლის ოფიციალური დისტრიბუტორია, მათ შორისაა, თურქეთის ისეთი წამყვანი კომპანიები, როგორიცაა Elit, Cargill, Turyağ, Altınmarka და Gusto.

,,Sera Ltd“ წარმატებით თანამშრომლობს როგორც მსხვილ საცალო ქსელებთან, ისე, კორპორაციულ პარტნიორებთან და ბიზნეს ორგანიზაციებთან, მათ შორის, Ipqli, Family Retail, Food Alliance, Agrohub და სხვებთან.

,,Sera Ltd“ თბილისსა და ქუთაისში ფლობს 1 500 m^2-ზე მეტი ფართობის მქონე სასაწყობე ინფრასტრუქტურას, სადაც პროდუქცია შესაბამის პირობებში - კონტროლირებად ტემპერატურაზე ინახება. ამასთან, კომპანია, თავადვე უზრუნველყოფს პროდუქციის უწყვეტ რეჟიმში ტრანსპორტირებას.

GÜRTİAD-ის სახელით, გამოვხატავთ მადლიერებას, ,,Sera Ltd“-ს გუნდისადმი, გულთბილი მასპინძლობისა და საინტერესო დიალოგისთვის და ვუსურვებთ კომპანიას წარმატებებსა და შემდგომ განვითარებას.

GÜRTİAD Yönetim Kurulu, özel atık yönetimi alanında faaliyet gösteren üye derneklerinden biri olan Wasteless'i ziyaret etti.

Ziyaret kapsamında Wasteless Yönetim Kurulu Başkanı Sayın Giorgi Guliashvili, derneğin faaliyet alanları, bugüne kadar gerçekleştirdiği çalışmalar, elde edilen sonuçlar, devam eden projeler ve gelecek dönem hedefleri hakkında GÜRTİAD heyetine bilgi verdi. Görüşmede ayrıca çevrenin korunması ve sürdürülebilirlik alanlarında iş birliğinin geliştirilmesi, ortak projeler ve etkinliklerin hayata geçirilmesine yönelik imkanlar ele alındı.

Sayın Giorgi Guliashvili, Wasteless'in şirketlerin iş süreçlerini daha temiz, sürdürülebilir ve atık oluşumunu en aza indiren bir yapıya dönüştürmelerine destek olduğunu; aynı zamanda Gürcistan'da atık yönetimi konusunda farkındalığın artırılmasına yönelik çalışmalar yürüttüğünü ifade etti.

Wasteless, 2022 yılında Gürcistan Çevre Koruma ve Tarım Bakanlığı tarafından dört farklı kategoride özel atık yönetimi alanında yetkilendirilmiştir:

* Atık yağlar

* Kullanılmış lastikler

* Elektrikli ve elektronik ekipmanlar

* Pil ve akümülatörler

Bünyesinde 17 bini aşkın ithalatçı üyeyi barındıran Wasteless, ilgili atıkların toplanmasını ve çevre mevzuatına uygun şekilde yönetilmesini sağlamaktadır. Toplanan atıklar analiz ve işleme süreçleri için yerel yüklenicilere teslim edilirken, Gürcistan'da geri dönüştürülmesi mümkün olmayan materyaller yurt dışına gönderilerek çevre standartlarına uygun şekilde yönetilmektedir.

Bu kapsamlı sistem sayesinde Wasteless, Gürcistan'da döngüsel ekonomi ilkelerinin yaygınlaşmasına katkıda bulunmakta; üretici, ithalatçı ve tüketicilerin daha bilinçli ve sorumlu bir atık yönetimi sürecine dahil olmasını sağlamaktadır.

Wasteless'in amacı; atıkların minimum seviyeye indirildiği, kaynakların verimli kullanımının toplumun tüm kesimleri için öncelik haline geldiği sürdürülebilir bir yapının oluşmasına katkı sağlamaktır.

ARKAS GEORGIA LLC · TURKISH AIRLINES · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless

GÜRTİAD adına, Sayın Giorgi Guliashvili'ye ve Wasteless ekibine çevrenin korunmasına yönelik değerli çalışmaları için teşekkür eder, başarılı faaliyetlerinin devamını dileriz.

გურთიადის მმართველი საბჭო სპეციფიკური ნარჩენების მართვის (საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია) მიმართულებით მოქმედ წევრ ასოციაცია Wasteless-ს ეწვია.

შეხვედრის ფარგლებში, ვეისთლესის თავმჯდომარემ, გიორგი გულიაშვილმა, სტუმრებს ასოციაციის საქმიანობა, მიღწეული შედეგები, მიმდინარე პროექტები და სამომავლო გეგმები გააცნო. მხარეებმა, ასევე, იმსჯელეს გარემოსდაცვითი მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავებასა და ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობებზე.

გიორგი გულიაშვილის განცხადებით, Wasteless ეხმარება კომპანიებს ბიზნესპროცესების უფრო სუფთა, მდგრად და ნარჩენების წარმოქმნის მინიმუმამდე დაყვანილ მოდელზე გადასვლაში; ამასთანავე, ხელს უწყობს საქართველოში ნარჩენების მართვის საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას.

Wasteless-მა, 2022 წელს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან მოიპოვა ავტორიზაცია ოთხი კატეგორიის სპეციფიკური ნარჩენების მართვის მიმართულებით:

* ნარჩენი ზეთები

* გამოყენებული საბურავები

* ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები

* ბატარეები და აკუმულატორები

Wasteless, რომელიც აერთიანებს 17 000-ზე მეტ იმპორტიორ წევრს, უზრუნველყოფს შესაბამისი ნარჩენების შეგროვებასა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად მართვას. შეგროვებული ნარჩენები ანალიზისა და დამუშავების მიზნით გადაეცემა ადგილობრივ კონტრაქტორებს, ხოლო ის მასალები, რომელთა გადამუშავებაც საქართველოში შეუძლებელია, იგზავნება საზღვარგარეთ და იმართება გარემოსდაცვითი სტანდარტების შესაბამისად.

ამ კომპლექსური სისტემის მეშვეობით, Wasteless ხელს უწყობს საქართველოში ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების დანერგვას და მწარმოებლების, იმპორტიორებისა და მომხმარებლების მხრიდან, ნარჩენების მართვის პროცესში, მაღალ პასუხისმგებლობასა და ცნობიერებაზე დაფუძნებულ აქტიურ ჩართულობას.

Wasteless-ის მიზანია ხელი შეუწყოს ისეთი მდგრადი საზოგადოების ჩამოყალიბებას, სადაც ნარჩენების მინიმუმამდე შემცირება და რესურსების ეფექტიანი გამოყენება საზოგადოების ყველა წევრისთვის პრიორიტეტული იქნება.

გურთიადის სახელით, მადლობას ვუხდით გიორგი გულიაშვილსა და Wasteless-ის გუნდს, გარემოს დაცვის მიმართულებით განხორციელებული მნიშვნელოვანი საქმიანობისთვის და ვუსურვებთ წარმატებებს სამომავლო აქტივობებში.